

სოფლის მშრომელთა ნობათი

სსრ კავშირის ცენტრალური საბაზისიკური სამმართველოს ცნობა

საპარტიკო სსრ სოფლის მშრომელთა მშრომელთა წარმატებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის, ხარისხიანი ხარისხის ფოთლისა და ყურძნის მიყიდვის სოციალისტური ვალდებულებანი, განაღებულა კარტოფლის მიყიდვის გეგმა. დამამზადებელ პუნქტებსა და განსამუშავებელ საწარმოებში ჩაბარებულია

430 ათასი ტონა ხარისხიანი ხარის ფოთლი, 574 ათასი ტონა ყურძენი, 150 ათასი ტონა მარცვლეული. სახელმწიფოს მიეყიდა გეგმაზე 45 პროცენტით მეტა ხორბალი. რესპუბლიკის კომპერტნივები და საბჭოთა მეურნეობები მთლიანად აირიან უზრუნველყოფილი მომავალი წლის მოსავლისათვის

მარცვლეული კულტურების თესვა და სამრეწველო ცენტრებში კარტოფლის გაგზავნის გეგმა. არ შესრულებულა ხილის მიყიდვის გეგმა. რესპუბლიკაში წარმატებით მიმდინარეობს ცენტრისთვის კრეფა და ქვეყნის ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში გაგზავნა.

- ჯანმრთელობის სამსახურში
- ევროპის ჩემპიონატის შემდეგ
- პატარა ფელეტონი 80-2 83.
- თბილისის "ლინამოს" უფროსი მწვრთნელის ახრით 80-3 83.

- უმლიერესეს ასახელებანი უსრულესები
- იალუჯის ფარფიტები
- ოლიმპიური "სპორტლოტოს" მორიბი ტირაში ბაიბართვა 14 თებერვალს. გაუდაკვეთში. 80-4 83.




რვა ტურის შემდეგ

ლიდერი უნიცვალა

VIII ტური ორი მშვიდობიანი ყაბით დაიწყო — სწრაფად დაიწინა ვ. ცეშოვსკი — ლ. პოლუგავესკი (14 სვლა) და ბ. ვულკო — ი. რაზუვაევი (20 სვლა). ჩემპიონი, ეს იყო ჩემპიონატის პირველი "დიდოსტატური" ყაბები.

დამარჩენ პარტიებში საინტერესო თამაში გაჩაღდა. საერთო ყურადღება მიიქცია მ. ტალ — ს. მაკარინევის შეხვედრაში. მსოფლიოს ექს-ჩემპიონს თითქოს "ჩათვალა" ქონდა ინგლისურ დასაწყისში, რომელსაც მთელი სიგრიე-სიგანით ამუშავებდა მსოფლიო პირველობაზე მატჩამდე და თითო ბაგიში, სადაც იგი ა. კარპოვის მწვრთნელთა საბჭოს "თანავეტორი" იყო. მე-10 სვლაზე ტალი დიდი ხნით ჩაფიქრდა. ჩანს, ახალგაზრდა დიდოსტატის პასუხი არ ყოფილა განხილული მატჩისთვის მზადებისას. მაგრამ ყველაფერი კარგად აეწყო, პოზიცია გაიხსნა და, თუკი მაკარინევი შეძლო თამაშის გამარტივება, თეთრების უპირატესობა საგრძნობი შეიქნა. შემდეგში პოზიციური დაწოლა მძიმე ფიგურებით მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ჩინებულად განახორციელა. დასაწყისი, რომ მაკარინევის უბეჭდა შეცდომაში დააჩქარა პარტიის დამთავრება. ტალიმ გამარჯვა.

აი, ამ პარტიის ფრაგმენტი:



ასეთი პოზიცია შეიქმნა მაკარინევის მე-20 სვლის შემდეგ. ტალი შეერგულად ატარებს პარტიის

დასკვნით ნაწილს: 21. b4! ab 22. ab კ:d4 (ან 22. ... კ:b4 23. კ:გ7! მფ:გ7 24. ლგ4+ თეთრების აშკარა უპირატესობით) 23. ე:d4 გ6 24. ლგ4 ლე6 25. ლf3 (პოზიციაში თითქოს არაფერი არ არის, მაგრამ b7 და d6 პაიკების სისუსტე თეთრებს კარგ მომავალს უქადის) 25. ... ე:c8 26. ეad1 მფგ7 27.



მფგ2 ეხ6 28. ეე4 ლf6 29. ეf4 ლე6 30. ეd5 ეა 31. ეf4 ეb1 32. ე4! ე1:b4? (უბეჭდა შეცდომა, თუკი ა შეიქმნა პოზიცია უკვე უარესია — შეუქარა 33. ლf4 და 34. h4, ან 33. ლc3) 33. ე:b4 და მაკარინევი დახვდა, რადგან 33. ... ე:b4 34. ლc3+ მოჰყვება.

ბ. ბელიავსკიმ უხეიროდ გაითამაშა დებიუტი თამაშალაქელ ა. მიხალინისთან, მერე დამაბულობას ვერ გაუძლო და დამარცხდა. მიხალინისის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან მთელი პარტია დიდი შეუპოვრობით და გონებაბამხვილად ჩაატარა. საერთოდ, იგი ძლიერად თამაშობს თეთრი ფიგურებით — დღემდე მან შეიქმნა თითო პარტია წააგო, თეთრებით კი არც ერთი.

ბევრს მოველოდით პ. კასპაროვ — თ. გიორგაძის შეხვედრიდან. ბაქოელი ყმაწვილი ძალიან სერიოზულად მოეყიდა ამ პარტიას, თამაშობდა მონდომებით და ალბათ ფიქრობდა წინა ტურში დანაკარგის ანაზღაურებას, მაგრამ თბილისელი დიდოსტატიც ფხიზლობდა. გიორგაძემ დებიუტიდან ცენტრში გამხოლოებული პაიკი რომ მიიღო, შემდეგ დაცვის გონებაბამხვილად აქტიურ გეგმას მიაგნო და საშიშროებაც მოსპო. უარესის შიშით, ჰაბუქმა ოსტატმა მეტოქეს ყაბი შეთავაზა, რომელიც მცირე ყოყმანის შემდეგ გიორგაძემ მიიღო. ეს მოხდა 22-ე სვლაზე მსახურა კოლეგის თანხმობით. ამრიგად, ქართველი მოჭადრაკე ჯერჯერობით დაუშორებელად თამაშობს. გადაღებულ და გამოტოვებულ პარტიებში წარმატების შემთხვევაში იგი ოლიერებში იქნება.

ჩემპიონატში პირველად გამოჩნდა ალიოხინის დაცვა — ამ სტრიქონების ავტორის საყვარელი იარაღების ეს დებიუტი გათამაშდა ე. გელერ — ვ. ბაგიროვის შეხვედრაში. ველურის მიერ არჩეული აქტუალური ვარიანტი ჩვეულებრივ თეთრებისთვისაა სასარგებლო, მაგრამ ბაგიროვმა, რომელიც მუყაითად იბრძოდა, ახალი გავრძელები გამოიყენა და მამაფრ თამაშში შანსი გაათანაბრა. როცა პარტიაში ყაბი იქნა ფიქსირებული, ბაგიროვმა მკითხა: "კმაყოფილი ხართ?" ჩანდა, რომ თავდაცვ კმაყოფილი იყო კარგი მინიატურით.

ო. რომანიშინმა და ვ. ტუქაქოვმა საინტერესოდ გაითამაშეს ეს-პანური პარტია. რომანიშინი დებიუტში პაიკის შეწირვით აღივებდა ინიციატივას. ტუქაქოვმა ვერ დააღწია თავი სიმწიფეებს. პარტიის მიწურულს, უკვე ცაიტოტში, იგი ცუდად თამაშობდა და წააგო.

ი. ღორგაძემ — გ. ტიომჩენკოსა და ე. სეშნიკოვ — გ. კუზნინის პარტიები გადაადო საინტერესო. მაგრამ გაურკვეველ პოზიციებში.

VII ტურიდან გამოტოვებულ პარტიაში, გ. კუზნინი დახვდა ღორგაძეს.

ამჯობებსა ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილის მღვრამეობა. ნანას 3,5 ქულა და ტ. მოროზოვასთან (ოღესა) უკეთეს პოზიციაში გადაღებული პარტია აქვს. ლ. საუნინა (სევერლოვსკი) — მოროზოვას შეხვედრაში, რომელიც კარო-კანის დაცვით დაიწყო, ოღესელმა ოსტატმა მწვავედ დალაშქრა მეტოქის მეფე და გაიმარჯვა. დიდოსტატმა მ. ლიტინსკიამ (ლევინი) გახედულად აიყვანა სსრ კავშირის ჩემპიონ ლ. სემიონოვს (კიევი) შეწირული ორი პაიკი და თავდადებული დაცვით შეინარჩუნა მატერიალური უპირატესობა.



ამრიგად, 8 ტურის შემდეგ დაწინაურდა მ. ტალი — 5,5 ქულა, ა. ბელიავსკის, პ. კასპაროვის 4,5-4,5 ქულა და თითო გადაღებული პარტია აქვთ, ლ. პოლუგავესკის, ე. გელერს, თ. რომანიშინს — 4,5-4,5, ვ. ცეშოვსკის — 4 (1).

თ. გიორგაძეს 3 ქულა და თითო გადაღებული და გამოტოვებული პარტია აქვს.

დღეს გადაღებული პარტიების დამთავრება. გაიმართება, აგრეთვე, გიორგაძე — ი. რაზუვაევის გამოტოვებული პარტია, ხვალ, 15 დეკემბერს შედგება X ტური, რომელშიც თამაშობენ: გელერი — პოლუგავესკი, ტალი — ტუქაქოვი, კასპაროვი — ბელიავსკი, სეშნიკოვი — გიორგაძე, ბაგიროვი — მაკარინევი, ცეშოვსკი — კუზნინი, რომანიშინი — ტიომჩენკო, ღორგაძე — რაზუვაევი და მიხალიშინი — გულკო.

3. მიხანასი, ჩემპიონატის მთავარი მსახი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

სურათზე: დიდოსტატები მ. ტალი (მარცხნივ) და ა. მიხალიშინი.

ს. კილაძის ფოტოები.



ქაქკაქი

34-ე სვლაზე სემიონოვამ ფარ-ხმალი დაპყარა. ეს იყო მისი მეოთხე წაგება, ლიტინსკისა კი — მეხუთე გამარჯვება.

ზატულოვსკი — ნ. ტიტორენკოს (მოსკოვი) პარტიაში მრავალი ფიგურის გაყელის შემდეგ მეტოქე დახვდნენ.

გადაიდო თ. ხუგაშვილი — ტ. ჩხეივას (მოსკოვი) და თ. ვორონოვა (ნაბერენევი ჩელნი) — ტ. ფომინას (ტალინი) პარტიები.

IX ტურში დიდ სპორტულ ინტერესს იწვევს რანიკუ — გურიელის შეხვედრა.

3. ვაპარკინანი.

1978 წ. № 244 (6299) 14 ღეკემბერი ხუთშაბათი. შანი 3 კაპ

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ჩოგბურთი

გორისოვი კაპულიასთან ერთად სოფლის კორტებზე გაიმართა ბულგარეთის ტელეხედვის პრიზების საერთაშორისო გათამაშება ჩოგბურთში, რომელშიც 12 ქვეყნის სპორტსმენები მონაწილეობდნენ. მოსკოველმა ვ. ბორისოვმა ერთეულთა შეხვედრის ფინალში წააგო გორის ჩემპიონთან ტ. ემერიხთან — 4:6, 5:7, 7:6, 2:6, ხოლო წყვილთა ასპარეზობის თბილისელ თ. კაკულიასთან ერთად გადაწყვეტი მატჩი მოიგო მასპინძლებმა ბ. ჰამპულოვისა და ლ. გეროვის წინააღმდეგ ბრძოლაში — 7:6, 7:6, 6:3.

კაქოსნობა

სტარტი რეკორდით ფარგანაში დაიწყო ძალისანთა სსრ კავშირის თასის გათამაშება. პირველივე უმჩატეს წონაში მსოფლიო რეკორდით აღინშნა 29 წლის ვოროშილოვგრაფელი ათლეტის ა. სენშინის გამოსვლა. მან 141,5 კილოგრამი აპყრა და ნახევარი კილოგრამით გაუმჯობესა თლიმპიური ჩემპიონის ა. ვორონის წინანდელი მსოფლიო რეკორდი. სენშინი საუკეთესო იყო ორჭიდის ჯამშიც — 240 კგ. მის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა ატკეშიც — 102,5 კგ. ორჭიდში II ადგილზე გაიდა ვოლოგოვადელი ს. კატრუში — 230 კგ. III ადგილზეა ნეფოსიბირსკელი ს. ხაზაროვი — 227,5 კგ. რომელმაც ატაკში ოქროს მედალი მოიპოვა, სენშინთან ერთად.

კაქათუკტი

მოულოდნელი შედეგები გაიმართა კლავბურთულ ვაქთა საკავშირო ჩემპიონატის მინსკის ტურის პირველ შეხვედრებში. მოულოდნელი შედეგით დამთავრდა მარშანდელი პირველობის ვიქტიმპიონის ლენინგრადის "სპარტაკისა" და უმაღლესი ლიგის დებიუტანტის კიევის არმიელთა გუნდის მატჩი. გაიმარჯვეს უკრაინელებმა — 98:94. ვილნიუსის "სტატისბსთან" შეხვედრაში მარცხი იწინა გამოცდილმა კაუნასის "კაგირისმა" — 89:96 (38:47). მოსკოვის "ლინამოს" ანგარიშით 114:91 (52:52) დამარცხა მინსკის რტი.

ხაქაქატი

დამაჯარავალი მოგება მოსკოვში გაიმართა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველი მარეველფინალური მატჩი ცუკას და პოლონეთის ქალაქ ვოტკოვის "შიონისკის" ვაქთა გუნდებს შორის. დამაჯარაველ ანგარიშით 35:23 (18:12) გაიმარჯვენ საბჭოთა ხელბურთელებმა. საასტუხო მატჩი გაიმართება 1 დეკემბერს ეროცლაგში.

ყოველი მეორე თანრიგოსანი

თელავის სამშენებლო ტექნიკუმის (დირექტორი გ. შიომშვილი) სულ ორი წლისაა, მაგრამ რაიონის სპორტულ ცხოვრებაში იმთავითვე ჩაება და წარმატებებსაც მიაღწია. ახლა ტექნიკუმში მისწავლეთა ფიზიკური აღზრდისთვის თითქმის ყველა პირობა შექმნილი. სპორტინვენტარით აღჭურვილ დარბაზში რეგულარულად ეწყობა ვარჯიში და მისდაკომპლექტით პირველობები.

ტექნიკუმის ბაზების ქსელის გაფართოებისთვის ბრძოლაში კომპლექსურად დასახმარებლად მოვიდა შეფი — ალანანშენის № 1 სამმართველო. მისი დახმარებითა და მთავარი ინჟინრის, წარსულში ცნობილი ხელბურთელის, საპატრიო სპორტის ოსტატ თ. ანთაძის ზედამხედველობით შენდება ღია სპორტული კომპლექსი, რომელშიც იქნება ხელბურთის, კალთბურთის, ფრენბურთის, ჩოგბურთის მოედნები და მსოფლიოს სექტორები. მოედანი ლითონის ბაღით შემოისაზღვრება.

გაისად მის გვერდით დაიწყება საცურაო აუზის აგება და სამშენებლო ტექნიკუმის რაიონში ყველაზე აღჭურვილ ორგანიზაციად გადაიქცევა.

ახლა აქ მთელი ყურადღება გადართულია ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდის საკითხებზე. სტენდზე გამოფენილია სასწავლებლის ფიზკულტურული კოლექციის ამსახველი მასალები. ყოველთვიური კედლის გაზეთი „სტარტი“ სისტემატურად აშუქებს ტექნიკუმის სპორტულ ცხოვრებას. ცალკე კუთხე აქვს დათმობილი ფიზკულტურელთა მიერ მოპოვებულ სპორტულ ნაღველს.

თელავის ამ ორგანიზაციაში რეგულარულად მუშაობს სპორტის რამდენიმე სახეობის სექცია, რომლებშიც 200-ზე მეტი ახალგაზრდა გაერთიანებული. ყველა ამან განაპირობა ის, რომ აქაური ფიზკულტურელები წარმატებით გამოდიან რაიონულ შეჯიბრებებზე, ხოლო უმოდესა და სპეციალური სასწავლებლების XII რესპუბლიკურ სპორტკვიადებში ჩემპიონები გახდნენ: მოჭიდავე გ. ფოთლასკვილი და მძლეობის დ. მოდებაძე, ხუთმა კი — სპირტო ადგილები დაიკავა. ტექნიკუმის რამდენიმე მოსწავლე შეყვანილია სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური სამუშაო გუნდებში.

ამ ფიზკულტურული კოლექტივის დევიზია: „ყველა კურსდამთავრებული — მშდ ნიშნისანი! ყოველი მეორე ფიზკულტურული — თანრიგოსანი!“


გ. აქაიანი

მეცხე სიგნალი

რატომ ჩაიშალა მუშაობა?

კავშირგაბმულობის ზუგდიდის რაიონულ კანტონში ათარც ახსოვთ აქაური სპორტსმენები ბოლოს როდის მონაწილეობდნენ რაიონულ ტურნირებში. კვანში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული საქმიანობა დიდი ხანია დაიწყეს მიეცა. არც ბაზები აქვთ, თუმცა ფრენბურთისა და კალთბურთის მოედნების მოწყობა შეიძლება. კვანის კომპლექსურული და პროფკავშირული ორგანიზაციები თავს არ იწყებენ სავალალო მდგომარეობის გამოსწორებისთვის.

ბ. ალშვიანი



აუზი — „ჯანმრთელობის საბაზისი“

ჩვენს რესპუბლიკაში პირველი სპორტული კლუბი თბილისის კირიკის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში ჩამოყალიბდა. ეს იყო ჩარხმშენებელთა ფიზკულტურული კოლექტივის გამარჯვება და კლუბსაც ამ სახელწოდებით მოვლენის შესაბამისი სახელი — „გამარჯვება“ ეწოდა.

ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა, რომელიც კოლექტივებს სპორტული კლუბის საპატიო სახელის მინიჭების უფლებას აძლევს, ისაა, რომ მათ აუცილებლად უნდა გააჩნდეთ სპორტული ბაზები და მათ შორის საცურაო აუზი.

კორიკელებს ღიძნანს ემსახურა ქარხნის ტერიტორიაზე გაშენებული ღია საცურაო აუზი, მაგრამ დროთა განმავლობაში იგი მწყობრიდან გამოვიდა. აუცილებლად მოითხოვა არა მხოლოდ კაპიტალური რემონტი, არამედ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად მისი გადაკეთებაც.

ქარხნის დირექტორი დ. კიკნაძე და მისი მოადგილე, სპორტკლუბის გამგებობის თავმჯდომარე პ. ჩიგოგიძე აუზის კეთილმოწყობის საკითხს გულმოდგინედ მოვიდნენ. რამდენიმე თვეში განახლებული 25-მეტრიანი და ბავშვებისთვის ცურვის შესასწავლი აუზი მზად იყო, — გვითხრა აუზის დირექტორმა გ. გაგოშიძემ.

ამჟამად ეს ბაზა მართლაც შესანიშნავად გამოიყურება. მთლიანად შეიცვალა 25-მეტრიანი აუზის საფარი, მოეწყო ახალი გასახდელები და საშხაპები, გაუმჯობესდა გათბობის სისტემა, გადამხურა ბავშვთა აუზი. ახლა ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა შვილებს შეუძლიათ აქ ზამთარშიც შეუფერხებლად იმეციანონ. ამ ბაზაზე წარმატებით მუშაობენ „ჯანთაღის“ ცურვის სპეციალიზებული სპორტკლუბის წევრებიც.

იმ დღეს, როცა ქარხნის აუზს ვეწვიეთ, ნორჩებთან შეხვედრისას ატარებდნენ მწკრივებში ვ. კარანაძე, გ. ჩიქვანია, ო. მაშულაშვილი და ლ. პარსკურიანი.

ასეთ აუზს ბავშვებთან მომუშავე მწკრივებში დანატრული ვიყავით. ახლა მზარდები მეცადინეობას იშვიათად თუ აცდენენ. ქარხნის დირექციის შიშაირი მადლობის მეტი რა გვეთქმის, — ამბობს გ. ჩიქვანია, რომელიც „შეიძლიანებს“ ცურვის საიდუმლოების მორიგ გაკვეთილს უხსნის.

აუზის მუშაობა მხოლოდ ნორჩ სპორტსმენთა მომზადებით როდი შემოიფარგლება. გვიჩვენეს სპეციალური ვანები, რომლის მიხედვით აქ ცურვის შესასწავლად და ამ სახეობაში მშდ კომპლექსის ნორჩატლებს ჩასაბარებლად მორიგეობით მოდიან ცალკეული სამკურნელო და უბნები. მუშაობს რამდენიმე გამაჯანსაღებელი ჯგუფი. თავდაპირველად ასეთი ჯგუფი ოთხი ქარხნის დირექტორის თაოსნობით შეიქმნა.

სწარმოში წესად აქვთ, რომ სტუმრებს საამქროებისა და უბნების დეთვალეობის შემდეგ „ჯანმრთელობის საამქროს“ — სპორტულ ბაზებსა და მის ყველაზე გამორჩეულ სარბილს — საცურაო აუზსაც აჩვენებენ ხოლმე.

„ჯანმრთელობის საამქრო“ ჩვენი ყველაზე თვალსაჩინო უბანიაო, — სიზარდა უთქვამს პ. ჩიგოგიძეს. ამიტომაც იგი მზრუნველობას არ აკლებს ამ უბანს, მან კარგად იცის, რომ შრომითი წარმატებების უშრეტო რვერტი სწორედ აქაა.

ლ. სუხიაშვილი.

სურათზე: ახალი საცურაო აუზის ინტერიერი.

გულ — სპარტაპილის პროგრამაში

ზუგდიდის საქალაქო სპარტაპილის პროგრამაში მშდ კომპლექსის მრავალკუთხედიანი სპორტული შედეგების შესახებ ჩატარდა ხუთივე ასაკობრივი ჯგუფში. პირველში მონაწილეობდნენ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების გუნდები. ყველას აჯობა ქალაქის მე-2 საშუალო სკოლის ნაკრებმა, რომელმაც 617 ქულა მოაგროვა. მეორე ჯგუფში უძლიერესი იყო სპორტკლუბი „ნეგური“ — 366.

დანარჩენ ჯგუფებში პირველ ადგილებზე გვიდნენ: „ზუგდიდის პროგრამის“, სამედიცინო სასწავლებლისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის მუშათა მომარაგების განყოფილების სპორტსმენები.

ბ. ფიფია.

მიუხატოლონი, პეროპის ჩემპიონატი

გორის საკვირაო სკოლის აღსაზრდელთა წარმატება საყოველთაოდ ცნობილია. აქაურ ფალანგებს ბევრჯერ სასახელოდ დაუცავთ ჩვენი რესპუბლიკისა თუ ქვეყნის სპორტული ღირსება საკავშირო და საერთაშორისო სარბილზე.

მართალია, ერთ პერიოდში გორელმა მოქილავებმა შესაძინებლად დომეს პოზიციები, მაგრამ, როგორც ჩანს, მოკლევადიანი ცვლის პროცესი დასრულდა და აი, რესპუბლიკისა და ქვეყნის ნაკრებ გუნდებში ისევ გამოჩნდნენ აქაური სპორტსმენები. ერთ-ერთი მათგანია გორის პედაგოგიური ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტი ბორის გოგიჩაშვილი.

ბორის 20 წლისაა, ძიულში ვარჯიში 6 წლის წინათ დაიწყო მწკრივების გ. ზაუტაშვილის ხელმძღვანელობით, 16 წლის ასაკში სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა ქაბუკ ძიულისტა შორის, სამიოცე წლის შემდეგ კი უკვე მოზრდილებს შორის მოიპოვა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის წოდება.

წლებულ ბ. გოგიჩაშვილმა ორი დიდი გამარჯვება იხიმა: ჯერ ორთხელ-ფიგურით, სტუდენტ ძიულისტთა მსოფლიოს V ჩემპიონატში ვერცხლის მედალს დაეფუტა (ამ ჩემპიონატში ასევე II ადგილზე გავიდა თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი დილარ ხაბულოანი), შემდეგ კი უნგრეთის ქალაქ მიშკოლცში გამართულ ახალგაზრდა ძიულისტთა ევროპის ჩემპიონატში ოქროს მედალი დაისაკუთრა.

ბ. გოგიჩაშვილი ქვემოთ სწორედ კონტინენტის ჩემპიონატზე მიღებულ მთავარ დიდებებზე გვესაუბრება.

— თავდაპირველად ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა სტუდენტ ძიულისტთა მსოფლიო ჩემპიონატზე. როდ-დე-ქანეროს ტატამზე სტუდენტ მომინდა გამოსვლა, მათგან 4 ორთხობილი მოვიგე ბრაზილიის, აშშ-ის, იაპონიისა და პოლონეთის წარმომადგენლებთან, ფინალში კი იტალიელ მარიო ვეკისთან დაგამოცხდი და ვერცხლის მედალი მივიღე.

ამ პერიოდში ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრები სასწავლო-საწვრთნელ შეჯიბრებებში მყოფობდა და კონტინენტის ჩემპიონატისთვის ემზადებოდა. მართალია, ვადალოლი ვიყავი, მაგრამ ნაკრების მწკრივებში მარცხი შემთხვევით გუნდში და აი, მიშკოლცში გავიმარჯვებო. მე, ჩვეულ წესრიგში, 86 კილოგრამ წონით კატეგორიაში გამოვიდებო. მაგრამ ჩვენი ნაკრებში ამ წონის კურსის კელ ვალდის გუბანოვს მიუჩიეს ადგილი, მე კი ქვემომხე წონით კატეგორიაში (95 კგ) გადავიდი.

როგორც სპეციალისტები და ჟურნალისტები აღნიშნავენ, მიშკოლცში ვეროპის საუკეთესო ახალგაზრდა ძიულისტები მთიყვარეს თავი. ფავორიტად ჩვენი ქვეყნის ნაკრებს, აგრეთვე, პოლონეთისა და უნგრეთის ძლიერ კოლექტივებს ასახელებდნენ და მართლაც, ბრძოლა ძირითადად სწორედ ამ გუნდებს შორის გაიმართა. საბჭოთა ნაკრებს პირველი ოქროს მედალი ა. სოკოლოვმა (53 კგ) მოუტანა. შემდეგ ჩემპიონები გახდნენ ვ. დივისენკო (83), ნ. კოვტორონი (65) და ვ. გუბანოვი (86). მე ექვსჯერ გამორავდი ტატამზე. მართალია ვითხრათ, პირველი 5 შეხვედრის მოგება მიინცა-მიანიც არ გამჭირვებია. ფინალში ჩემი მეტოქე მასპინძელთა გუნდის წევრი იანოშ ცუპეტი იყო. მაყურებელი, ბუნებრივია, მსურველად

უქერდა მხარს ცუპეტს. და ისიც ჯიქურ გადმოვიდა შეტევაზე. ეს პირველი წლებზე იყო, მეტიც კი, როგორც ჩანს, თავბრუდამხვევმა ტემპმა მოქანცა და დაცხრა. შეჯიბრებში, რომ ჩემი დროც „დადგა“ საყვარელი ილითი — გვერდინად გვება წამოიწყე და წარმატებითაც. დავამთავრე. მსაჯებმა წინდა გამარჯვება ჩამითვალეს.

როცა „პირად საქმეებს“ მოვრჩი, მაყურებელთა სექტორში გადავიინცე და თანამემამულეებს — ზესტაფილელ დავით ხუსკიავის და გორაკ ჯემალ მჭედლიშვილს ვქმობავდი. ორივე ძიულისტის 16 წლისაა, ისინი წარმატებით გამოვიდნენ ტაშენტში, მოსწავლეთა XV საკავშირო სპარტაპი-ადამი და ოქროს მედალები მოიპოვეს. სამწუხაროდ, ხუსკიავიმ ზომიერ მეტად დელოვდა, შებოქვილად, უინიციატივოდ ქილაობდა (დავითიც და ჯემალაც ამგვარი ტურნირის დებიუტანტები იყვნენ) და სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. სამედიცინო, მჭედლიშვილმა ქემპიონი მებრძოლის სახელი დაიმკვიდრა. მან დიდი აღმავლობით ჩაატარა წინასწარი შეხვედრები და მხოლოდ ფინალში იქვინა მარცხი ძლიერ მეტოქესთან. ჯემალს ვერცხლის მედალი გადაეცა...

მეტი სიტყვა

ს ა ლ ი რ ა ე ე მ ო ს წ ა ვ ლ ე ე ბ ი ა რ ი ა ნ

თბილისის სპორტულ ბაზებზე დამთავრდა დედაქალაქის მოსწავლეთა პირველობა თავისუფალ ჭილაობაში და ძიულში. ასპარეზობაში, რომელიც ორ ასაკობრივ ჯგუფში ჩატარდა, თბილისელი ფალანგებთან ერთად ძალს ცდიდნენ რუსთაველისა და მცხეთის საშუალო სკოლების მოჭიდავეები.

თავისუფალ ჭილაობაში უმცროსი ასაკის ჯაბუკა შორის გამარჯვებულმა ფიცხელაურმა, გ. მალაშვილმა, ბ. პატურაშვილმა, გ. ჰარბაძემ (ყველა — გლდანის სპორტული სკოლა), რ. მარბაძემ (124-ე საშუალო სკოლა), გ. ბიჩინაშვილმა (160-ე სკოლა), თ. ებანიძემ (116-ე სკოლა), ტ. ასპანიძემ (გლდანის სპორტული სკოლა), ტ. სამხარაძემ (მე-14 სკოლა), ზ. გიგაშვილმა (მე-60 სკოლა), ვ. დეაშვილმა (111-ე სკოლა), ლ. ხაბულოვმა (118-ე სკოლა), ა. ლომიძემ (მე-12 სკოლა) და გ. დარაბელოვმა (მე-2 სკოლა).

უფროსი ასაკი: ჯ. გოჭიაძე, მ. როსტომიშვილი (ორივე — გლდანის სპორტული სკოლა), პ. კაკაბიძე (მე-14 სკოლა), ე. წიქარიძე (გლდანის სპორტული სკოლა), გ. კაციტაძე (147-ე სკოლა), გ. გოგრიძანი (გლდანის სპორტული სკოლა), გ. მისხურაძე (მე-7 სკოლა), მ. რაშაძე (გლდანის სპორტული სკოლა), ა. ზურაბიანი, გ. მისხურაძე (ორივე — რუსთაველი), კ. კულუმბეგოვი (147-ე სკოლა), კ. ჩაჩუა (გლდანის სპორტული სკოლა).

უმცროსი ასაკის ძიულისტთა შორის პირველი ადგილები დაიკავეს: ნ. სულეიმანოვი (მე-15 სკოლა), გ. ბაგაურმა (გლდანის სპორტული სკოლა), გ. ჩიტოშვილმა (სოფელ გლდანის საშუალო სკოლა), ე. ჯანგიაშვილმა (გლდანის სპორტული სკოლა), ს. სუხიშვილმა (მე-3 სკოლა), ზ. მერაბიშვილმა (მე-14 სკოლა), კ. გოგობაძემ (მე-18 სკოლა), ბ. ჭიკაბაძემ (მე-3 ექსპერიმენტული სკოლა), ა. ხაჩიძემ (114-ე სკოლა).

უფროსი ასაკი: გ. ბეროშვილი (გლდანის სპორტული სკოლა), გ. მისხურაძე (მე-14 სკოლა), ა. ქიხიაშვილი (მე-16 სკოლა), მ. ტაბლიაშვილი (მცხეთის რაიონის სოფელ მარტყოფის საშუალო სკოლა), მ. ქადავა (გლდანის სპორტული სკოლა), გ. მურადაშვილი (134-ე სკოლა), დ. კობერიძე (24-ე სკოლა).

ო. შოთაშვილი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

პატარა ფელატონი „ზამთრის ყინვა არ მთხრავს“...

— მღეროდა ძველი თბილისის მკვიდრი. შევიღებო სიტყვად, მაგრამ ობტუბარს მინც არ იტყება და მღეროდა. ზამთრისთვის ახლაც იცოდა თბილისში, განსაკუთრებით — დეკემბერში. გამოჩნდასი არც წლებიდანელი ზამთარია, ცოცხა ყველაგან, მთაში თუ ბარში, თქვენ წარმოიდგინეთ თბილისშიც და... ენგელისს ქუჩაზე მდებარე კალიონის რაიონის სპორტსკოლის დარბაზშიც.

„ზამთრის ყინვა არ გვაშინებს...“ გაიძახა ამ სპორტსკოლის აღსაზრდელთა და ყინვისაგან ითხოვნიან. ნორჩ სპორტსმენებს რა უჭირთ, ბურთს მინც თამაშობენ, დარბაზი, იარაღებზე ვარჯიშობენ და თბებიან. შევრთხლებმაკ ნახეს გამოსავალი: თბილ პალტოებში ჩაფუთვნილი, ჯიბეში ხელმეჩაწყობილი სხვადასხვა დანაკრებულბებს აძლევენ აღსაზრდელბებს. ყვე-

ლაზე შეწუხებული მინც აკომპანიატორია. ინსტრუმენტი ავტომატი როდია, ჩართო და, ყინვისგან რომ არ გაითხოვო, ხტუნვით ურბინო გარემოში...

— ეს როგორ, ჩვენი დედაქალაქის ცენტრში ასეთი რამ ხდება? იკითხავს გაკვირვებული მკითხველი. დიახ, ასეა და რა ვქნათ. ეტყობა, ზამთრის მოახლოება მხედველობიდან „გამორჩა“ ამ სპორტსკოლის მესვერებს და თანამედრობით მათზე მალა მდგომ. პირებს, თორემ ასეთი კურირთული რამ არ მოხდებოდა.

„ზამთრის ყინვა არ მთხრავს...“ მღეროდა ძველი თბილისის მკვიდრი და როგორ წარმოიდგენდა, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ მიმდევრები გამოუჩნდებოდნენ კალიონის რაიონის სპორტსკოლის აღსაზრდელბების სახით.

მარიამ წამალაშვილი.

ბ. ფიფია.

ნოღარ ახალკაცი:

„ფეხბურთი“

ს ე ლ ო ვ ნ ე ბ ა კ



სსრ კავშირის, საქართველოს ისტორიულად, პოეტური კითხვობენ ლექსებს, კომპოზიტორები ასრულებენ თავიანთ ნაწარმოებებს. ჩვენ მჭიდრო კონტაქტი გვაქვს ფეხბურთის მოყვარულებთან.

მინდა მოვიყვანო საყურადღებო ფაქტი. სოფელ ნატანგში, დასავლეთ საქართველოში, სადაც კოლმეურნეობის თავმჯდომარეა სოციალისტური შრომის გმირი გივი წითლიძე, ერთდროულად ადგილობრივი გუნდის, გაერთიანებული გოლი და როცა ჩვენს კარში დაინიშნა პენალტი, ეს ერთდროულად გოლი გაჰქონდა მთელ სოფელს. საოცარი იყო კოლმეურნეთა ენთუზიაზმი.

— როგორ წარმოგაცხადებთ მამის ფეხბურთით?

— მე უკვე ვთქვი, რომ ფეხბურთი მიმართა ხელოვნებად, ხელოვნება კი, ყველთვის სიხალე, აღმაფრენა, მოულოდნელობა. სწორედ ამიტომ მოსწონს ფეხბურთი ადამიანთა მსგებ, ჩვენს ამ რაიონის ფეხბურთის მოყვარულთა 1950 წელს მსოფლიო ჩემპიონატზე რიო-დე-ჟანეიროს ახალთა გუნდის „მარაკანაზე“ ლოგოს შესატყვისად უნდა გამარჯვებულ ბრაზილიელებს, მაგრამ მოულოდნელად ჩემპიონები ურუგვალები გახდნენ. ეს მოულოდნელობა ფეხბურთს თან სდევს მუდამ. ჩვენთვის ფეხბურთი დიდი სიყვარული და დიდი სილოცება იმ სპორტულ სპექტაკლში, რომელიც არასოდეს მეორდება. მომავალში შეიძლება შეიცვალოს წესები, ამაღლდეს თამაშის რიტმი, გაუმჯობესდეს მსაჯობა, დაინერგოს ტექნიკური ილუმინაცია, მაგრამ არასოდეს გაქრება ფეხბურთის მთავარი უპირატესობა, როგორც მასობრივი სანაზიმობისა, რომელსაც მოაქვს სიხარული, ხელოვნების, ძალის, სილამაზისა და აზროვნების ზეიმი.

გაზეთ „სოვეტსკაია კულტურაში“ ამას წინათ დაიბეჭდა ი. მუსხრბანიას ინტერვიუ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის უფროს მწვრთნელ ნ. ახალკაციანს. მრავალრიცხოვან მკითხველთა თხოვნით ვაკვეყნებ ამ ინტერვიუს უფრო ვრცელი, სრული სახით.

თბილისის „დინამომ“ 14 წლის შეგვედების შემდეგ ძლიერამოსილად განვლო XXXI ჩემპიონატის რთული მარათონული გზა და მეორედ მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონობის მაღალი წოდება.

ეს გამარჯვება იქცა არა მარტო გუნდის ტრიუმფად, მისი მწვრთნელების ტაქტიკისა და სტრატეგიის გამარჯვებად, არამედ გულშემატკივართა მრავალთასიანი არმიის ზეიმადაც. თბილისის დინამოელთა გამარჯვებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის მის უფროს მწვრთნელს ნ. ახალკაცს, რომელმაც შეიმუშავა და ჩამოაყალიბა ქართულ ფეხბურთელთა თამაში, რომელიც მათ გამარჯვებისადმი რწმენა, მტკიცე, გაბედული გზით წარმართა მოთამაშეთა ბუნებრივი ტემპერამენტით, თითმყობადობა, დაუმკვდრად გუნდს სათამაშო დისციპლინა და მიზანსწრაფვა. გუნდში მოუშაბის 3 წლის მანძილზე ნ. ახალკაცის ხელმძღვანელობით თბილისის „დინამომ“ მოიპოვა სსრ კავშირის თასი, სამჯერ იყო ჩემპიონატების პრიზიორი და ამა ეს კანონზომიერი, შესანიშნავი გამარჯვებაც, სანატრელი, თუმცა, ერთბაშად არაა.

თოლი არ არის შედგენილი თბილისის „დინამოს“ დიდის საწვრთნელი ბაზის რკინის ჩარს. გარეშე პირებს იქ შეგვლა აკრძალული აქვთ. საფეხბურთო ოლიმპს მკაცრად იცავენ ყველა მათგან, ვისაც შეუძლია დაარღვიოს სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის ნორმალური პროცესი. ეს-ესაა დამთავრდა ვარჯიში და ნოღარ ახალკაცი მიგვიძღვება სასწავლო ოთახისკენ. სტენდებზე გამოკრულია მოთამაშეთა ფოტოები, მეგობრული შარავები, გაზეთის ამონაბეჭდები. მაიად ზეზავად დღეს მისალოცი წერალები, დეპეშები სხვადასხვა ქალაქიდან, უცხოეთის ქვეყნიდან. ნ. ახალკაცი წინასწარვე ყურადღებით ეცნობა ჩვენი მონაველი ინტერვიუს შეკითხვებს, ვინაიდან არ უყვარს აბსტრაქციული ლაპარაკი, ზედმეტობები და მუწწად მოგვიტრობს მხოლოდ იმას, რისი „განდობაც“ შეიძლება პრესისთვის. არაფერი ნაჭიბები, ყველა პასუხი მოფიქრებულია, ლავონური და კონკრეტული.

— ჩემი კრედიტო, როგორც მწვრთნელისა? — ქოლარა თავს ოდნავ აქნებს და იღიმება მოსაუბრე. — ნაკლები ლაპარაკი და თეორიები, უკეთესი თამაში. ბურთის მეშვეობით, მასთან ახლო ურთიერთობით უნდა მივიყვანოთ მოთამაშეები უკეთეს ფორმამდე, ჩაუნერგოთ ის აზრი, რომ როცა ბურთი შენა გაქვს, საჭიროა იერიში და გოლის გატანა. ვინც ამას ვერ აკეთებს, როგორც წესი, ავებს. არაფერი ახალი ჩვენ არ აღმოგვიჩენია,

უბრალოდ, გაგაგრძელო ქართველ ფეხბურთელთა საუკეთესო ტრადიციები: იმპროვიზაცია, დინამიზმი, მაღალი ესთეტიკურობა. როგორც რუსი ბალეტმეისტერი მიხეილ ფოკინი წერდა თავის წიგნში „დინამიკის საწინააღმდეგოდ“ — რა საჭიროა თავიდან დაიწყო ის, რისიც მხოლოდ გაგრძელებაა საჭირო. გაგრძელება ტრადიციებისა და მისი აყვანა ახალ საფეხურზე ისე, რომ შეინარჩუნო საკუთარი სპეციფიკა და გაითვალისწინო დროის მოთხოვნები. ჩვენც ამას მივღევთ.

ფეხბურთი დღეს ხელოვნებაა, ხელოვნება კი შეუძლებელია ტალანტების, წარსულის გამოცდილებისა და შთაგონების გარეშე. მაგრამ შემახვედით „დინამიკისა“ მე არ მჯერა. იგი მოდის მხოლოდ მაშინ, როცა შრომა გამარჯვებული ნიჭი აღწევს პროფესიონალების უმადლეს დონეს. ვფიქრობ, ამ მიმართებით კიდევ საქმეა, რისად გვაქვს სამუშაო, რათა აღვზარდოთ ახალი ფორმაციის მოთამაშეები: უკიდურესად დინამიური, ფსიქოტურად კარგად მომზადებული, მოაზროვნე სპორტსმენები, როცა თავი მუშაობს ნათლად, როგორც გამოუმუშავებ მანქანა. ფეხბურთი არ უნდა უსწრებდნენ აზრს და გონებას.

— რომელი თამაშები იყო ყველაზე უფრო დასამახსოვრებელი განვლილ ჩემპიონატში?

— წლავლს ჩვენი გუნდის წინაშე თავიდანვე დაიხსნა გარკვეული ამოცანა: დაგვეკავებინა პირველი ადგილი და ამ ამოცანას, გახორციელებდით ყოველ თამაშში. ასეთი ამოცანა თბილისის დინამოელთა წინაშე აღარც მრავალჯერ დასახულა, მაგრამ ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად გუნდი წლავლს უკეთ იყო მომზადებული. მართალია, სეზონის მსვლელობაში რამდენიმე მიუტკეველი შეცდომა გვქონდა, მაგრამ მუდამ ვცდილობდით შეგვენარჩუნების საკუთარი თამაში, საკუთარი სხე, ჩემი აზრით, ზოგიერთ თამაშში „ეს შევძელით, გერძობდით, მოსკოველ და კიეველ თამაშებულ შემთხვევებში, დონეცკის „შახტორთან“... ამ თამაშებში გუნდმა გამოავლინა პროფესიონალიზმი, აჩვენა არა მარტო კოლექტიური ტაქტიკის მაგალითი, არამედ ინდივიდუალური თვისებებიც გამოავლინა და სრულად გახსნა ყველა მოთამაშის საბრძოლო მზინაცემები. საინტერესო იყო თამაშები მოსკოვში არმილებთან, აგრეთვე ალმა-ათაში, გორაკოვსკისთან, ოდესსაში, იქ სადაც ვაგებდით, მაგრამ შევძელით გამარჯვების მოპოვება.

— რა ფაქტორები განსაზღვრავენ წარმატებას ფეხბურთში?

— ფეხბურთში არ არსებობს

წვრილმანები, ყველა ფაქტორი მნიშვნელოვანია. პირველხარისხიანია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სწორად წარმართული სასწავლო-საწვრთნელი პროცესი. სექციური მუშაობაც, მაყურებლის მხარდაჭერაც და მრავალი სხვა. ძალიან გვახარებს ფეხბურთის მოყვარულთა კეთილგანწყობილება, ვლებლობით წერილებს მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, ოდესიდან, ვლადივოსტოკიდან და სხვა ქალაქებიდან. დიდ ბედნიერებას განვიცდით, როცა გვრძნობთ სტადიონის გულსიკემას და მაყურებელთა მხარდაჭერას, ჩვენს ერთობლიობას ყოველი გატანული გოლის სიხარულის გამოხატავს. ავი გამოთვალეს სოციოლოგებმა, რომ ყოველი ჩვენი გამარჯვების შემდეგ შესამჩნევად მალდება შრომის ნაყოფიერება რესპუბლიკის წარმოება-დაწესებულებებში. ჩვენ ამას არასოდეს ვივიწყებთ.

— გაგვიხსენით თქვენი მუშაობის ერთ-ერთი რომელიმე „საიდუმლოება“?

— საიდუმლოებები არა მაქვს. საჭიროა კარგად შეისწავლო ფეხბურთელთა ფსიქოლოგია და შეესაბამებლობები. როცა ეს საქმე ვაკეთებდა, გულდასმით უნდა აითვისო რეზერვები, რათა ისინი გოლებად იქცეს. მუშაობა, მუშაობა და... ფეხბურთის სიყვარული. ამ სიყვარული გარეშე, რომელიც ბავშვობიდანვე უნდა იქნას შთანერგილი, წარმოუდგენელია დიდი ფეხბურთი.

ჩვენი ფეხბურთელები ბუნებით ტექნიკურები არიან, მაგრამ საჭიროა გონივრულად გამოიყენო მათი ეს მონაცემები, შეუხამო შრომისუნარიანობას, გამარჯვებისადმი სწრაფვას.

— არსებობს აზრი, თითქოს, უფასო თასის მატრის შედეგზე დასაყრდენი ბერლინის „ჰერტასთან“ გავლენა იქონია არაკვალიფიციურმა მსაჯობამ, აგრეთვე, უიღბლობამ. თქვენი შეხედულება ამ საკითხზე?

— მატჩს მე დადებითად ვაფასებ, მან ბევრი რამ მისცა უნდს. საერთოდ კი არასოდეს ვდებ ბრალს მსაჯებს და არ ვიმართლებთ თავს უიღბლობით. იტყვობა, შეცდომები და ვეუფიცი...

— შეგიძლიათ დავგვიხსნათო საერთაშორისო სარბიულზე საბჭოთა გუნდების წარუმატებელი გამოსვლების მიზეზები?

— ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა ძნელი საქმეა. ჩვენი წარუმატებლობების ერთ-ერთი მიზეზი, ვფიქრობ, იმასი მდგომარეობა, რომ გვიკლია მაღალი კვალიფიკაციის პროფესიულ კლუბებთან შეხვედრათა გამოცდილება, ჭერ კიდევ ვერ ვისწავლეთ ექსტრა-კლასის მოთამაშეთა აღზრდა. ასეთი

მოთამაშეების გარეშე დიდი ფეხბურთი შეუძლებელია.

— რა თვისებები სჭირდება ექსტრა-კლასის ფეხბურთელს, რა როლს თამაშობს საერთო კულტურა მოთამაშის ფორმირებაში?

— როცა პეშინტუის კითხვს რა საჭირო მწერალი რომ განდვო, მან დაახლოებით ასე უპასუხა: ტალანტი, ნათელი წარმოდგენა საბოლოო შედეგზე და სინდისი. ყველაფერი ეს სჭირდება ფეხბურთელსაც და კიდევ — მაღალი მორალური თვისებები, პოლიტიკური სიმწიფე, მიზანსწრაფვა. ამით განსაზღვრება მოქცევის მანერები, თამაშის ინტელექტურობა და, როგორც ყველა ამ თვისების პარალელური მთლიანობა — შემოქმედებითი სიხარული. ქართული ფეხბურთის სტილი წლების მანძილზე ყალიბდებოდა და ყოველთვის განისაზღვრებოდა ამ შემოქმედებითი სიხარულით. ფეხბურთში მთავარი ის კი არაა, რომ უბრალოდ გაიტანო გოლი. ეს უნდა გააკეთო ლამაზად, მაღალ ესთეტიკურ დონეზე.

გატყვება, შემოქმედებითი თამაში. იმპროვიზაცია — ფეხბურთელის აუცილებელი თვისებებია. ჩვენი გუნდის საუკეთესო მოთამაშეები ფლობენ ამ თვისებებს. ესა ერთდროულად, განათლებული ხალხი, რომლებსაც ბევრი რამ აინტერესებთ. გუნდის კაპიტანმა მანუჩარ მახაიძემ უკვე დაამთავრა პოლიტიკური ინსტიტუტი, სუკეთესი მომადრეკა, იგი ახლა გატაცებულია ფილოსოფიით და აპირებს უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე შესვლას. დევიდ ყიფიანი კარგად ფლობს ინგლისურს, ამთავრებს იურიდიულ ფაკულტეტს, ვლადიმერ გუცაივი ბიჭვან კითხულობს, კარგად ერკვევა ჯაზურ მუსიკაში. ასეთი თვისებები დამახასიათებელია ყველა სხვისი. დარწმუნებული ვარ, რომ მაღალი ინტელექტი აუცილებლად საჭიროა კარგი თამაშისთვის.

— 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიადა რა აზრს იხსენებს სახავს თქვენს წინაშე?

— ოლიმპიადისთვის მზადება მთელი ჩვენი მუშაობის განუყოფელი ნაწილია. ჩვენი მოთამაშეები — ყიფიანი, კოსტავა, გუცაივი, დარასელია, შენგელია, დურდიანი, სულაქვილიძე გამოდიან ჩვენი სხვადასხვა ნაკრებ გუნდში. ვფიქრობ, ოლიმპიადისთვის სამზადისში ჩვენი წვლილიც საკმარისად იქნება.

— როგორია გუნდის კონტაქტები ფართო საზოგადოებრიობასთან?

— ჩვენ სწორად ვართ ფაბრიკა-ქარხნების, სასწავლებლების, დაწესებულებების სტუმრები. იქ ახლოს ვიცნობთ აუდიტორიას, ვსწავლობთ და ვასწავლით. ცნობილი ისტორიკოსები დინამოელებს უკითხავენ ლექციათა კურსს პარტიის,



ასპარეზობან სტუდენტები

მიმდინარეობს რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების თასის გათამაშება ფეხბურთში.

ფრედ—0:0 თამაშეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდებმა. განმეორებით შეხვედრაში უფრო ძლიერნი მომავალი პოლიტექნიკოსები აღმოჩნდნენ — 3:2.

ბათუმის პედინსტიტუტის გუნდმა თავის მინდორზე მეორე მატ-

ჩიც მოუგო თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდს — 2:0.

თელავის პედინსტიტუტის ფეხბურთელებმა ვერ შეძლეს თავიანთი ტერიტორიული უპირატესობის რეალიზება სოხუმის პედინსტიტუტის გუნდთან და ფრეს დასჯერდნენ — 0:0.

სოხუმის სუბტროპიკულ კულტურათა ინსტიტუტის გუნდმა 2 მატჩის ჩაშში მარცხი განიცადა თბილისის ზოოტექნიკურ-საფრთხიანარო ინსტიტუტის გუნდთან შეხვედრაში.

ფეხბურთი

სტუდენტთა თასის ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვედებიან: პედაგოგიური ინსტიტუტი (ბათუმი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი), პედაგოგიური ინსტიტუტი (სოხუმი) — ზოოტექნიკურ-საფრთხიანარო ინსტიტუტი (თბილისი).

აუცილებელია აღნიშვნის ღირსად მიგვიანია ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტთა ყოვლად დაუშვებელი, ხელოვნური საქციელი. ამ გუნდის წევრებმა ი. გიგოლაძე და ნ. გიგოლაძე იმედიანარ

შეურაცხყოფა მიიყენეს მსახს, ამას გარდა გაფრთხილებული იქნენ პ. ჭავჭავაძე და ბ. ცაავა. უნდა ვიფიქროთ, რომ ინსტიტუტის ხელმძღვანელობა სათანადო რეაგირებას მოახდენს ამ უმსგავსოებაზე.

საქართველოს პირველობა

გაიმართა ფეხბურთში რესპუბლიკის ზონალური გათამაშების ბოლო შეხვედრები: „ღრმადლევი“ (ლანჩხუთი) — „მადნეული“ (ბო-

ასპარეზობის საბოლოო ცხრილი

ტ. მ. ფ. შ. ქ.	ტ. მ. ფ. შ. ქ.
„ალგეთი“	10 6 1 3 23—16 13
„ლეიკიანი“	10 5 1 4 19—15 11
„მადნეული“	10 5 1 4 18—21 11
„ბაზალტი“	10 3 3 4 8—15 9
ჩაის ს. მ. (ნ.)	10 4 0 6 16—11 8
„ღრმადლევი“	10 3 2 5 14—20 8

მიმოხილვები პერიტი

ანასტასიანე შურნალისძე



საზონის ფინიშთან

რუსთაველის მიდამოებში, იალ-
ლუჯის მთის ფერდობებზე გაიმარ-
თა საქართველოს პირველობა მო-
ტორტოსში, რომელიც დოსაფის
ცენტრალურმა კომიტეტმა ჩაატარა.
ასპარეზობის მიზანი იყო წლის
მანძილზე დოსაფის ორგანიზაცი-
ების მიერ აღვილებზე გაწეული
მუშაობის შემოწმება.

125 კმ სმ-ის მოცულობისძირე-
ანი მანქანებით რბოლაში მონა-
ღებ მორის ორივე ცდა მოიგო
თბილისის ზაფხულა და მონარდთა
სპორტტექნიკური სკოლის წარ-
მომადგენელმა ა. ბუგაიოვმა და გა-
მარჯვებულ მას დარჩა. მომდევნო
აღვილებზე გაიგინენ რუსთაველ-
ბი ო. კოსტირია და ვ. ტარანე-
კო.

ამავე კლასში მონარდითა შო-

რის სამივე საბრძოლო ადგილი არ-
მის სპორტული კლუბის (თბილი-
სი) წარმომადგენლებს ხვდათ. თა-
ვიდან ა. ფიოდოროვი დაწინაურ-
და. მეორე ცდაზე მას მანქანა
სტარტზევე დაუზიანდა და პირვე-
ლი წრე უკანასკნელმა დაამთავ-
რა, მაგრამ საბოლოოდ მიიწვ იმა-
რათ ვ. კუდრიაცევა და ა. ნასო-
ნოვს.

250-ანებით ა. ფიოდოროვიც
ცდიდა ძალას, მაგრამ იგი საბო-
ლოოდ II ადგილს დასჯერდა, პი-
რველობა კი ვ. ველიკანოვმა (თბი-
ლისის სპორტტექნიკური კლუბი
„ლევა“) მოიპოვა. III ადგილზეა
თბილისელი არმიელი ნ. ბუკრი-
ევი.


ყველაზე მძიმე მანქანებით რბო-

ლაში საუკეთესონი იყვნენ სამტ-
რედიელი ვ. სიტნიკი, ი. ტერეშე-
ნკო („ლევა“) და სოხუმელი ი.
კაჭარავა.

ეტლიანი მოტოციკლებით ტურ-
ნირში ყველაზე მარჯვე გამოდგა
ცხაიელების — მ. ლუნდუსა და
რ. ბარძემაშვილის დუეტი, რომ-
ელმაც უკან ჩამოიტოვა ნ. გაბი-
დოვ — ვ. სამოხინისა (რესპუბლი-
კური სპორტტექნიკური კლუბი)
და ნ. კასიანოვ — ა. ზუბარევის
(სოხუმის სპორტტექნიკური კლუ-
ბი „სამხრეთი“) მანქანები.

სურათებზე: 125-ანების სტარტის მომენტი; ეტლიანი მოტოციკლით დისტანციანზე; სამტრედიელი ვ. სიტნიკი, რომელმაც პირველობა მოიგო 850-ანებით შეჯიბრებაში.

რ. გაბრიელიძის ტექსტი და ფოტოები.



ვინ შეცვლის სტენსმენს?

ლეგენდარულმა ნორვეგიელმა მოციგურავემ, ოლიმპიურმა ჩემპიონმა სტენ სტენსმენმა ყოველგვარი იმედი გადაუწერა თავის სანსეცემლებს: ამ დღეებში 30 წლის ათლეტმა განაცხადა, რომ თავი დაანებდა დიდ სპორტს. ამასთან დაკავშირებით, ქვეყნის სპორტის მოყვარულებს აინტერესებთ, ვინ შეცვლის სტენსმენს?

დღეაქამდე „ნეალ ხოიენის“ საციგურაო ნოემბრის ბოლოს გამართულმა სტარტებმა რამდენაღამე ნათელი მოაჩვენეს ამ მდგომარეობას. ნაერებში განთავისუფლებულ ადგილებზე კარგი განცხადები გააკეთა 19 წლის მოციგურავემ ლარვიკელმა ტ.-ე. ოქსოლმა. მან 500 მეტრი 40,73-ში დაფარა. 5000 მეტრზე ასპარეზობისას, როცა ფინიშამდე 25-30 მ იყო დარჩენილი, დაცა და ამიტომ 7.26,89-ზე მაღალი შედეგი ვერ აჩვენა.

ნორვეგიის მოციგურავე ქალთა ნაკრებ ვინსლაც გამოავლინა ლიდერი — ლ. კოსმუ, რომელიც დედა უნდა გახდეს და ცხადია, ახალი სეზონის სტარტებში ვერ მიიღებს მონაწილეობას. მის ადგილზე დამატარებელ პრეტენზიას აცხადებს 18 წლის ლარვიკელი სპორტსმენი ბ.-ე. იენსენი, რომელმაც ვასლუ სეზონში IV ადგილი დაიკავა მსოფლიო ჩემპიონატში და ვერცხლის ფილი დაისაკუთრა იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატში. იენსენი დაამბულა ემზადება ახალი სეზონისთვის, რასაც მის მიერ „ნეალ ხოიენის“ საციგურაო ნაკრებში შედეგები ამტკიცებენ. 500-მეტრიანი დისტანცია მან 43,79-ში დაფარა, ხოლო 1500 მეტრი — 2.16,16-ში. სწორედ ამ ახალგაზრდა სპორტსმენს მოუწევს ლიდერობა ნორვეგიის ქალთა ნაკრებში. (საქდეს).

ბანაურნების შედეგა

შარზან ლაბტი გამართულ მო-
თხილამურეთა მსოფლიო ჩემპიონ-
ატში ვერ იასპარეზა შედეგების
იმედი თ. ვასბერგმა, რომელიც
საავტომობილო ავარიამ დაშავდა.
მაგრამ ვასბერგმა ახალი სეზონისთ-
ვის განკურნება მოასწრო და ჩვე-
ულ სპორტულ ფორმაშიც შეეცა.
ამ დღეებში ლუდვიგს ტრასებზე გა-

მართულ ტურნირში 21-კილომეტ-
რიან დისტანციანზე მან წუთზე მე-
ტი მოუგო 50 კილომეტრზე რბე-
ნაში მსოფლიო ჩემპიონს, თანამე-
მამულე ს.-ო. ლუნდუსს, რომლის
შედეგია 1:04,17.

ვასბერგმა აჩვენა 1:02,59. სპე-
ციალისტები ვარაუდობენ, რომ იგი
XIII ზამთრის ოლიმპიადის ერთ-
ერთი მთავარი ფავორიტი იქნება.

ინცალის საციგურაო

აქ გამართულ მოციგურაეთა
საერთაშორისო შეჯიბრებაში წარ-
მატებთ გამოვიდნენ გდრ-ის სპორ-
ტსმენები, რომლებმაც, როგორც
ქალთა, ისე ვაჟთა შეჯიბრებაში
საბრძოლო ადგილების უმეტესობა
მოიგეს. იმის მიუხედავად, რომ
გდრ-ის გუნდში გამოდიოდა ოლი-
მპიური ჩემპიონი ჰოლცნერ-პფლი-
უგი, რომელმაც ამას წინათ 1000
მეტრზე თავისი ქვეყნის ახალი რე-

კორდი დაამყარა (1.27,62), ვერაინ
შემლო იაკობს (გდრ) დამარცხება.
იაკობმა მოიგო 500 მეტრზე ორივე
ასპარეზობა, მეორე პირველი იყო
1500 მეტრზე შეჯიბრებაში და სა-
ბოლოოდ 175,136 ქულას მოუყა-
რა თავი. II ადგილზე გავიდა მისი
თანაგუნდელი როტენბურგერი,
III — შეედი ფილიპსონი.

ვაჟთა შორის სპრინტერულ მრავალქილში უძლიერესი იყო დი-
ორიზი (გდრ) — 158,93 ქულა.

ტირანის შედეგები

სპორტული ლატარების მთავარმა სამმართველომ შეაფასა შედეგები „სპორტლოტოს“ 6-49-დან 5-36-დან 49-ე ტირანებისა.

„სპორტლოტო“ 5-36-დან:
პირველი: ხუთი ციფრის გამოც-
ნობისთვის მოგება 3731 მანეთია,
ოთხისთვის — 86, სამისთვის — 4.
მეორე: ხუთი ციფრის გამოც-
ნობისთვის მოგება 3336 მანეთია,
ოთხისთვის — 82, სამისთვის — 4.
„სპორტლოტო“ 6-49-დან:
პირველი: ხუთი ციფრის გამოც-
ნობისთვის მოგება 4489 მანეთია,
ხუთისთვის (შეღავათიანი ბურთუ-
ლით) — 106, ოთხისთვის — 81,
სამისთვის — 4.
მეორე: ხუთი ციფრის გამოც-
ნობისთვის მოგება 920 მანეთია, ხუ-
თისთვის (შეღავათიანი ბურთუ-
ლით) — 55, ოთხისთვის — 30,
სამისთვის — 3.

სპორტლოტო

ბილეთით ოლიმპიადაზე

„ოლიმპიად-80“-ის მოახლოე-
ბა სპორტული ლატარების კერ-
ძოდ, საერთაშორისო ოლიმპიური
სპორტლოტოს პოპულარობის
ზრდილად იგაჩნება. „სპორტლო-
ტოს“ მოყვარულები დიდ ფულად
მოგებასთან ერთად იღებენ ფულ-
ბას, პირადად დაესწრონ მსოფ-
ლიოს სპორტსმენთა ამ დიდ ფო-
რუმს. ბედნიერი ბილეთების
მფლობელთა სია ახალი სახე-
ლებით იქნება. II საერთაშორისო ოლ-

სპორტული

- მსოფლიოს მრავალი შურნალ-
გაზეთის სპორტულმა მიმომხილვე-
ლებმა შეავსეს ანკეტა — „ვინ
არის 1978 წლის სეზონის საუკე-
თესო სპორტსმენი? ან ზოგიერ-
თის აზრი:
- „**სუპერმოდ სპორტსმენი**“ (ვარ-
შავა, პოლონეთი).
ვაჟები. 1. იაშჩენკო (საბჭოთა
კავშირი), 2. ბორგი (შვეიცია), 3.
კემპესი (არგენტინა).
ქალები. 1. გოლინსი (აშშ), 2.
სიმეონი (იტალია), 3. ბარდაუსკენე
(სსრ კავშირი).
- „**ნაბარსტარაინიზა ნახრის-
ტან**“ (ლინცი, ავსტრია).
1. კემპესი, 2. სტენმარკი (შვე-
იცია), 3. ანდრიანოვი (სსრ კავშირი).
1. მოზერ-პრიოლი (ავსტრია), 2.
სიმეონი, 3. ფუქსი (გდრ).
- „**სპორტს-მეზაინი**“ (ბრიუსე-
ლი, ბელგია).
1. როზო (ყენია), 2. ანდრეტი
(აშშ), 3. ანდრიანოვი.
1. გოლინსი, 2. სიმეონი, 3. კო-
ხი (გდრ).
- „**ო გლიზაო**“ (რიო-დე-ჟანეირო,
ბრაზილია).
1. როზო, 2. ბორგი, 3. ანდრე-
ტი.
1. სიმეონი, 2. გოლინსი, 3.
ფუქსი.
- „**რაბონინიასკო დელო**“ (სო-
ფია, ბულგარეთი).
1. იაშჩენკო, 2. კარპოვი (სსრ
კავშირი), 3. მუჰამედ ალი (აშშ).
1. ბარდაუსკენე, 2. სიმეონი, 3.
გოლინსი.
- „**ჩინოსლოვანსკი სპორტი**“
(პრაღა, ჩეხოსლოვაკია).
1. იაშჩენკო, 2. კარპოვი, 3. რო-
ზო.
1. კოხი, 2. გოლინსი, 3. ბარდა-
უსკენე.
- „**ტანესანიტაშვი**“ (კოპენაგე-
ნი, დანია).
1. ბორგი, 2. სტენმარკი, 3. კემ-
პესი.
1. მოზერ-პრიოლი, 2. მუხინა
(სსრ კავშირი), 3. გოლინსი.
- „**ალ აბაბი**“ (ქარი, ეგვიპტე).
1. როზო, 2. მუჰამედ ალი, 3. ბო-
რგი.
1. გოლინსი, 2. ბარდაუსკენე, 3.
კოხი.
- „**დირიო ვლ-უნივერსო**“ (გუ-
აილი, ეკვატორი).
1. კემპესი, 2. ანდრეტი, 3. ბო-
რგი.
1. გოლინსი, 2. როდინა (სსრ
კავშირი), 3. ევერტი (აშშ).
- „**უში სუმი**“ (ბელსინია, ფი-
ნეთი).
1. როზო, 2. სტენმარკი, 3. ვასა-
ლო (აშშ).
1. სიმეონი, 2. გოლინსი, 3.
კოხი.
- „**პიკი**“ (პარიზი, საფრანგეთი).
1. როზო, 2. კემპესი, 3. იაშჩე-
ნკო.
1-2. სიმეონი და კოხი, 3. გოლ-
ინსი.
- „**ანრონი სპორტანორაბა**“
(მილვერსუმი, პოლანდია).
1. როზო, 2. ბორგი, 3. ანდრი-
ანოვი.
1. მუხინა, 2. სიმეონი, 3. ბარ-
დაუსკენე.
- „**მინინი ნიუსაიპარსი**“ (ტო-
კიო, იაპონია).
1. როზო, 2. კემპესი, 3. მუჰამედ
ალი.
1. ბარდაუსკენე, 2. გოლინსი,
3. ლოპესი (აშშ).

- „**სპორტსკე რეცესიტი**“ (ზაგრ-
ბი, იუგოსლავია).
1. როზო, 2. იაშჩენკო, 3. ბო-
რგი.
1. გოლინსი, 2. სიმეონი, 3.
კოხი.
- „**ლიტანუბანიარ ფოლასლა-
ტი**“ (ლოტენშტაინი).
1. როზო, 2. სტენმარკი, 3. ანდ-
რეტი.
1. სიმეონი, 2. გოლინსი, 3.
კოხი.
- „**ტაბალატი**“ (ლუქსემბურგი).
1. როზო, 2. იაშჩენკო, 3. ვასა-
ლო.
1. გოლინსი, 2. კოხი, 3. სემე-
ონი.
- „**აზტანოსტანი**“ (ოსლო, ნორ-
ვეგია).
1. როზო, 2. ბორგი, 3. იაშჩენ-
კო.
1. გოლინსი, 2. კოხი, 3. მუხინა.
- „**ინინი პოსტი**“ (ველინგტონი,
ახალი ზელანდია).
1. კემპესი, 2. როზო, 3. კარპოვი.
1. კოხი, 2. გოლინსი, 3. როდ-
ინა.
- „**რაკორდი**“ (ლისაბონი, პორ-
ტუგალია).
1. კემპესი, 2. ვასალო, 3. როზო.
1. სიმეონი, 2. ნერატლოვა, 3.
გოლინსი.
- „**კინარ-შპორტაბაზინი**“ (ნა-
ურნბერგი, გერმ).
1. როზო, 2. ბორგი, 3. სტენ-
მარკი.
1. კოხი, 2. ბარდაუსკენე, 3. გო-
ლინსი.
- „**სვენსა დაბალადტი**“ (სტოკ-
ჰოლმი, შვეიცია).
1. ბორგი, 2. როზო, 3. სტენმარ-
კი.
1. კოხი, 2. გოლინსი, 3. ბარ-
დაუსკენე.
- „**ჩაო ტაი**“ (ბანგკოკი, ტაილან-
დი).
1. ბორგი, 2. კარპოვი, 3. სტენ-
მარკი.
1. მოზერ-პრიოლი, 2. მუხინა, 3.
შტუეველბერგერი (შვეიცარია).
- „**ტირაქუმიანი**“ (სტამბოლი, თურ-
ქეთი).
1. მუჰამედ ალი, 2. კემპესი, 3.
იაშჩენკო.
1. გოლინსი, 2. სიმეონი, 3.
კოხი.
- „**სტარს ენდ სტრიკსი**“ (ვაშინ-
გტონი, აშშ).
1. ბორგი, 2. ანდრეტი, 3. მუ-
ჰამედ ალი.
1. გოლინსი, 2. სიმეონი, 3. მუ-
ხინა.
- „**ნავსორტი**“ (ბუდაპეშტი, უნ-
გრეთი).
1. კარპოვი, 2. როზო, 3. იაშ-
ჩენკო.
1. კოხი, 2. გოლინსი, 3. მუ-
ხინა.
- „**ნიუს ოპ უორლდი**“ (ლონდონი,
ინგლისი).
1. მუჰამედ ალი, 2. ბორგი, 3.
როზო.
1. გოლინსი, 2. ნერატლოვა,
3. შტუეველბერგერი.
- „**კორინი დელ სპორტ ტა-
დო**“ (რომი, იტალია).
1. სტენმარკი, 2. მუჰამედ ალი,
3. მენეა.
1. გოლინსი, 2. სიმეონი, 3. ნა-
გრატლოვა.

გაზატი გამომცემი ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა, რედაქციის მისამართი: 880006, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
 მისამართი: რედაქტორი — 99-56-14, 98-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 98-97-53; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 98-97-58;
 ფეხბურთის მუშაობის — 98-97-55; სპორტის პროპაგანდის — 98-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 98-97-58; ქაღალდის — 98-97-28; სამხატვრო — 98-97-58; წერილების — 98-97-54; კორექტორები — 98-97-40; გამომწვევა — 98-98-81; ფოტოლაბორატორია — 98-97-58; მენეჯინგები — 98-97-57.